ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N -14

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ქობულეთი 14 მარტი, 2014 წელი

ერთის მხრივ **ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მზედრული"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორის ბადრი ცეცხლაძის** სახით და მეორეს **მხრივ შ.პ.ს "სამეურვეო ტიხტიხი "** წარმომადგენელი მაია ფაღავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სხვა დაწარჩენი საქონელი და მომსახურება-ღონისძიება,გასვლითი კონცერტი ბათუმში (ტექნიკური მომსახურეობა-ფოტო ვიდეო გადაღების ხარჯი)cpv 92100000 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2. მომსახურების ზუსტი დასახელება და ფასი განსაზღვრულია ხელშეკრულების თანდართულ ფორმა #2-ით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი ლარი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ანსამბლ "მზედრული"-ს დირექტორი რომელიც აფორმებს მომწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი სასაქონლო ზედნადების შემდეგ ხელშეკრულებით თანდართული დანართის მიხედვით.

4.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.4. თუ მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის შესახებ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ტექნიკური მომსახურეობა-ფოტო,ვიდეო გადაღების ხარჯი მომწოდებლის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების საფუძველზე, 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაზე [illegible] ჩანაცვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ს.ა.ა.ი. "ბ.ბ.ბ. - GEORGIA. LTD
ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲢᲘᲮᲢᲘᲮᲘ
SAMEURVEO TIKHTIKHI
445 439 516

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. ხელშეკრულების 7.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 7.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

9.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

9.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

9.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

9.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგ ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მარტამდე

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"	შ.პ.ს „სამეურვეო ტიხტიხი"
ქობულეთი. ლესელიძის ქ. №1	ბათუმი. მელიქიშვილის ქ.# 4
საიდენტ. კოდი 446953235	საიდენტ. კოდი 445439516
	პროკრედიტ ბანკი
	ბანკის კოდი MIBGGE22
	ანგარიშის # GE90PC0033400100000030
ტელ: 555 444 795	ტელ: 557 31 27 39
დირექტორი /ბადრი ცეცხლაძე/	დირექტორი /ანა ფანცავა/
შემსყიდველი	მიმწოდებელი

ინფორმაცია

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა № 3

№	დასახელება	საერთო ფასი
1	ტექნიკური მომსახურება-ფოტოვიდეო გადაღება	1000
	სულ	1000

შპს. "სამეურვეო ტიხტიხი": _____ (ლ.ფალავა)

საქართველო. შპს - GEORGIA. LTD
სამეურვეო ტიხტიხი
SAMEURVEO TIKHTIKHI
445 439 516